# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
# ხელშეკრულება № 64

30 11 2011წ.

დაბა ხელვაჩაური

ერთის მხრივ *ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება* (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი *დირექტორის ინგა ხინიკაძის* სახით და მეორეს მხრივ, *ინდ/მეწ „მარინა გურგენიძე"* (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმომადგენელი მარინა გურგენიძე სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. *ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში არსებული ს/ბაღებისათვის წიგნების შესყიდვა*

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარი

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3. მისაწოდებელი საქონლის სახეობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფორმა №3-ის შესაბამისად.

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.3 ანგარიშწორება განხორციელდება საგადასახადო დოკუმენტაციისა და საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონელი ან მისი ნაწილი შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

4.3 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს საბოლოო ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან შესრულებულ სამუშაოზე.

4.4 საქონელი ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, წუნდების მიზეზის მითითებით.

## 5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება შემსყიდველის მიერ მითითებული ობიექტი

5.2. საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

### 7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს *ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში არსებული საბავშვო ბაღის ხელმძღვანელები*

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაშიმეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

### 10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს ***2011 წლის 31 დეკემბრის*** ჩათვლით.

## 13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

***ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება***
ტელ: 855120537
მის: დ. ხელვაჩაური, აღმაშენებლის ქ. №21
**საბანკო რეკვიზიტები:**
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“
ხელვაჩაურის ფილიალი,
ს.კ: 448382571
ბ/კ: LBRTGE22
ა/ა №GE28LB0115183419757000
***დირექტორი: ინგა ხინიკაძე***

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

ინდ/მეწ „მარინა გურგენიძე“
მის: „ბათუმი ერას ქ №53-აბ.1
ტელ: 593221930
**საბანკო რეკვიზიტები:**
ს.ს „საქართველოს ბანკი“ ცენტრალური ფილიალი
ს. კ. 61001029223
ბ/კ BAGAGE22

ანგ. №127426000
მარინა გურგენიძე

(ხელმოწერა)

ფორმა №3

## ინფორმაცია საქონლის რაოდენობისა და ფასების შესახებ

| № | საქონლის დასახელება | გან. | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო ფასი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მხიარული სიტყვები ინგლისურ- ქართული ლექსიკონი(ბაკურ სულაკაურის გამოცემა) | | 10 | 15 | 150 | |
| 2 | ჩემი საყვარელი ხუთწუთიანი ზღაპრები | | 6 | 25 | 150 | |
| 3 | ჩემი პირველი გასაფერადებელი ზღაპარ ლექსები | | 6 | 5.80 | 35 | |
| 4 | ვითამაშოთ სახლში | | 5 | 9 | 45 | |
| 5 | საბავშვო ბაღში სამუშაო რვეული | | 6 | 12 | 72 | |
| 6 | საბავშვო ბაღში ტესტები | | 4 | 12 | 48 | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | სულ ჯამი | | | | 500 | |

ინდ/მეწ „მარინა გურგენიძე"